შირაქი

SHIRAKI

www. open.ge

გამოდის 1937 წლიდან

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

№6 (9.768)

18-25 თებერვალი 2017 წელი

ფასი: 50 თეთრი

ყოველკვირეული გამოცემა

გვ.3

გამგებლის ახალი ინიციატივა

გვ.8

„სიყვარული ალგვამალლებს!“

როგორ ვიზრუნოთ სისუფთავეზე?!

გვ.3

ბრძოლა სამართლიანობის აღსადგენად და არა თანამდებობისთვის?!

გვ.7

ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლებთან სიახლოვეს...

გვ.4

რა გითხრათ, რით გაგახაროთ?!

გვ.6

სოფელ სამრეკლოს განახლებული საზოგადოებრივი კოლეჯი „აისი“ და ჩვენი რეალობა



გვ.5

„კახეთის საათი“

„ობიექტივზე“

ახალი დროით

კვირა 12:30

C M Y K

ირაკლი კობახიძე ევროპარლამენტარ ანა გომეშს შეხვდა

პარლამენტის თავმჯდომარე ირაკლი კობახიძე საქართველოში ვიზიტით მყოფ ევროპარლამენტის წევრს ანა გომეშს შეხვდა.

როგორც საქართველოს პარლამენტში განაცხადეს, შეხვედრაზე აღინიშნა, რომ ევროპარლამენტარის ვიზიტის მიზანი საქართველოს პარლამენტის ინსტიტუციური შესაძლებლობების გაძლიერების მხრივ, ქართული მხარის საჭიროებების გაცნობა და თანამშრომლობის გაღრმავების მიზნით, სამომავლო ნაბიჯების დაგეგმვაა.

მათივე ინფორმაციით, მხარეებმა საქართველოს პარლამენტის კანონშემოქმედებითი და საზედამხედველო ფუნქციების გაძლიერებასა და პარლამენტის აპარატის თანამშრომლების კვალიფიკაციის ამაღლებაზე ისაუბრეს. შეხვედრაზე ამ მიმართულებით საქართველოს პარლამენტსა და ევროპარლამენტს შორის აქტიურ თანამშრომლობაზე შეთანხმდნენ.

„საინტერესო სამუშაო შეხვედრა იყო. შევთანხმდით, რომ ორმხრივი თანამშრომლობა და ჩვენი მზადება ევროკავშირის სრულფასოვანი წევრობისთვის ინტენსიური იქნება. ასევე, ინტენსიური იქნება გაცვლები კომიტეტებს შორის და პარტიულ ჯგუფებს შორის. საუბარი, ასევე, შეეხო საქართველოს პარლამენტის აპარატსა და ევროპარლამენტის აპარატს შორის თანამშრომლობაზე, გამოცდილების გაზიარებასა და ბევრ სხვა საინტერესო საკითხზე, რაც საქართველოს ევროპულ მომავალს ეხება“, - განაცხადა შეხვედრის დასრულების შემდეგ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილემ გიორგი ვოლსკიმ.

შეხვედრას, ასევე, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე თამარ ჩუგოშვილი, პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე გიორგი ვოლსკი და პარლამენტის თავმჯდომარის კაბინეტის უფროსი ნიკოლოზ სამხარაძე ესწრებოდნენ.

ჯეიმს მატისი - პატივს ვცემ საქართველოს კონტრიბუციას ნატო-ს ბრძოლის ველზე

პატივს ვცემ საქართველოს კონტრიბუციას ნატო-ს ბრძოლის ველზე, - ამის შესახებ აშშ-ის თავდაცვის მდივანმა ჯეიმს მატისმა ნატო-საქართველოს კომისიის სხდომის დასრულების შემდეგ განაცხადა.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ თავდაცვის სამინისტროდან აცნობეს, სწორედ ბრიუსელში შედგა პირველი კომუნიკაცია საქართველოს თავდაცვის მინისტრ ლევან იზორიასა და აშშ-ის თავდაცვის მდივან ჯეიმს მატისს შორის. ორი ქვეყნის თავდაცვის უწყების ხელმძღვანელი პირები ერთმანეთს ნატო-ს გენერალურმა მდივანმა იენს სტოლტენბერგმა წარუდგინა.

უწყების ინფორმაციით, აშშ-ის თავდაცვის მდივანმა მედიის წარმომადგენლებთან განაცხადა, რომ ამერიკის შეერთებული შტატები მაღლიერებას გამოხატავს საქართველოს მიმართ ნატო-ს საერთაშორისო მისიებში გაღებული წვლილისთვის:

„ჩვენ შევხვდით ნატო-ს უახლოეს პარტნიორს, საქართველოს. მე გამოვხატე ჩემი აღფრთოვანება და პატივისცემა საქართველოს კონტრიბუციისა და მათ მიერ გაღებული მსხვერპლის მიმართ, რომელიც ამ ქვეყანამ ნატო-ს ბრძოლის ველზე, ავღანეთში გაიღო“, - განაცხადა ჯეიმს მატისმა.

აშშ-საქართველოს ურთიერთობები საქართველოს თავდაცვის მინისტრმაც შეაფასა. ლევან იზორიას განცხადებით, ამერიკულმა მხარემ საქართველოს მიმართ მკაფიო მხარდაჭერა კიდევ ერთხელ დააფიქსირა.

„ჩვენთან შეხვედრის დროს აშშ-ის თავდაცვის დეპარტამენტის მაღალჩინოსანმა ხაზგასმით დააფიქსირა მხარდაჭერა საქართველოს მიმართ და სტრატეგიული თანამშრომლობის გაგრძელების მკაფიო სურვილი გამოთქვა, რომელიც შეერთებულ შტატებსა და საქართველოს შორის წლების განმავლობაში არსებობს. ორ ქვეყანას შორის არსებული სამართლებრივი საფუძველი, რომელიც გაფორმებული მემორანდუმით და უსაფრთხოების მიმართულებაზე, განსაკუთრებით კი თავდაცვის სფეროში გაფორმებული სამ წლიანი ჩარჩო ხელშეკრულებით გამოიხატება, სოლიდურ საფუძველს გვაძლევს განვახორციელოთ ძალიან ამბიციური პროგრამა ამერიკის შეერთებულ შტატებთან ერთად. საქართველოს მზადყოფნის პროგრამაზე მე საზოგადოებას მრავალგზის მივაწოდე ინფორმაცია. სწორედ ამ პროგრამის ფარგლებში იგეგმება ვაზიანში ერთობლივი ძალისხმევით საწვრთნელი ცენტრის მშენებლობა. ეს იქნება საუკეთესო შესაძლებლობა იმ მთავარი პრაქტიკული მიზნის განხორციელებისთვის, რასაც ჩვენი ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის გაძლიერება და მდგრადობის განმტკიცება ჰქვია“, - განაცხადა ლევან იზორიამ.

პატრიარქი პროკურატურის მაღალჩინოსანს თავისთან იხმობს და მკვლელობის მცდელობაზე აღძრული საქმის შეჩერებას სთხოვს“

პატრიარქი პროკურატურის მაღალჩინოსანს თავისთან იხმობს და მკვლელობის მცდელობაზე აღძრული საქმის შეჩერებას სთხოვს, - მწერალ მერაბ შათირიშვილის აზრით, საზოგადოებაში არსებულ დაძაბულობას ისევ პატრიარქი განმუხტავს.

„ამ დილით იმედის მომცველი განწყობა მეწვია, უფალმა შთამაგონა, ჩვენი უწმინდესი გერმანიიდან ბრძნული გადაწყვეტილებით დაბრუნდება, ქართულ ეკლესიაში განხეთქილების ტემპერატურა რომ შენელდეს და მტერმა არ გაიხაროს, ვფიქრობ, საქართველოს კათოლიკოს პატრიარქი, რომლისთვისაც უფლის კანონი მაღლა დგას ვიდრე - სამოქალაქო კანონი, პროკურატურის მაღალჩინოსანს თავისთან იხმობს და მკვლელობის მცდელობაზე აღძრული საქმის შეჩერებას სთხოვს...

გული მკარნახობს, ამ დაძაბული, ერისთვის შოკირებული ვითარების განმუხტვის ერთადერთი საშუალება სწორედ ეს გზაა, და ამ გადაწყვტილებას საზოგადოებამაც მხარი უნდა დავუჭიროთ.

ახლა, როგორც არასდროს, სიმშვიდე გვმართებს, ვითარება უნდა განიმუხტოს, ყოველგვარ კანონსა და ბრალდებაზე მაღლა ქართველი ერისა და ეკლესის ინტერესი დადგეს.

დაე, უფალმა განსაჯოს განსასჯელი და ყველას მიაგოს მისაგებელი.

ქართულმა ეკლესიამ ასეთი ძნელბედობის ჟამს თავის თავშივე უნდა იპოვოს ძალა განსჯისაც და გაჯანსაღებისაც,

განწმენდისაც და არასასურველი საეკლესიო მოღვაწეთა გადარჩევისაც.

ბნელი ძალები და მართლმადიდებლობის მტრები არ უნდა გავახაროთ!..

ჩვენ გვჯერა ღმერთის და ჩვენი პატრიარქის!..“ - წერს შათირიშვილი.

საზოგადოებრივ მაუწყებელზე რეალური სივრცე და წითელი ზონა დაიხურება

საზოგადოებრივმა მაუწყებელმა გამოაქვეყნა იმ გადაცემების ჩამონათვალი, რომლებიც სამეურვეო საბჭოს მიერ განსაზღვრულ კრიტერიუმებს ვერ აკმაყოფილებენ და შესაბამისად, დაიხურებიან.

დასახურ გადაცემებს შორის მოხვდა „რეალური სივრცე“, „წითელი ზონა“, „კაცების დრო“, „რეალური სივრცე პარასკევი“, „დოკუმენტური ფილმების სტუდია XX საუკუნე“, „ეკონომეტრი“, „ვაშინგტონი დღეს“, „სპორტი 360 გრადუსი“, „მთავარი“, „ვექტორი“, „სპორტის დაფა“, „ტელემანი“, „Cსტუდია“ და „უცნობი მუსიკა“.

საზოგადოებრივი მაუწყებლის მენეჯმენტმა გადაცემის შეფასების სისტემა წარმოადგინა.

„სამეურვეო საბჭოს მიერ შეთავაზებულ კრიტერიუმებზე დაყრდნობით სპეციალისტების მიერ შემუშავებული შეფასების სისტემა გვაძლევს საფუძველს, წარმოვადგინოთ ობიექტური (ციფრობრივ მონაცემთა ანალიზიზე დაფუძნებული) სურათი და დღეს საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველ არხზე არსებული გადაცემები დავყოთ სამ ჯგუფად:

1. გადაცემები, რომლებიც იზიდავს მაყურებელს (მათი რეიტინგი არხის საშუალო რეიტინგზე მეტია).

2. გადაცემები, რომლებიც მაუწყებელს უნარჩუნებს არსებულ სტატუს კვოს (მათი რეიტინგი ემთხვევა არხის საშუალო რეიტინგს).

3. გადაცემები, რომლებიც იწვევს მაყურებლის მიგრაციას სხვა არხებზე (მათი რეიტინგი არხის საშუალო რეიტინგზე ნაკლებია).

ჩვენ მიერ წარმოდგენილი სურათის საფუძველზე და ჩვენი ამოცანებიდან და მიზნებიდან გამომდინარე, ჩვენი ხედვა გულისხმობს პირველი და მეორე ჯგუფის გადაცემების დატოვებას ეთერში, ხოლო მესამე ჯგუფის გადაცემების დახურვას“, - ნათქვამია საზოგადოებრივი მაუწყებლის განცხადებაში.

გურჯაანში C ჰეპატიტის კაბინეტი გაიხსნა

გურჯაანში, C ჰეპატიტის კაბინეტი გაიხსნა. C ჰეპატიტის ვირუსზე გამოკვლევის ჩატარება მოსახლეობას ფრანგულ-ქართულ ცენტრ „კახეთი-იონში“ ყოველ შაბათს შეუძლია. ვირუსის დადასტურების შემთხვევაში კი პაციენტი სახელმწიფოს თანადაფინანსებით კლინიკაშივე გაივლის მკურნალობას. კახეთი-იონი კახეთში ერთადერთი კლინიკაა, სადაც C ჰეპატიტის უფასო სკრინინგ პროგრამა ამოქმედდა.

C ჰეპატიტის კაბინეტის გახსნას ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილე ვალერი კვარაცხელია, კახეთის გუბერნატორი ირაკლი ქადაგიშვილი, გურჯაანის მაჟორიტარი დავით სონღულაშვილი, საფრანგეთის ელჩი საქართველოში პასკალ მენიე, ექიმი-ლაბორანტი და „კახეთი-იონის“ ვიცე-პრეზიდენტი ჟაკ სიმარი, ასევე ბურგუნდიის საბჭოს წევრი და სამედიცინო ცენტრის გამგეობის თავმჯდომარე ერიკ ჟანტი დაესწრნენ.

C ჰეპატიტის ელიმინაციის სახელმწიფო პროგრამის პირველი ეტაპი „კახეთი-იონში“ 2020 წლამდე გაგრძელდება.

C ჰეპატიტის ელიმინაციის პროგრამა მოიცავს უფასო სკრინინგს — დაავადების გამოვლენას (ამ მომსახურებით სარგებლობა საქართველოს ნებისმიერ მოქალაქეს შეუძლია) და C ჰეპატიტით დაავადებული პაციენტების უფასო მკურნალობას უახლესი თაობის ძვირადღირებული მედიკამენტებით, კერძოდ: ა) სოფოსბუვირი/ჰარვონი; ბ) პეგილირებული ინტერფერონი და გ) რიბავირინი. რაც შეეხება პროგრამაში რეგისტრაციისთვის საჭირო სამედიცინო კვლევებს, ის სახელმწიფოს მხრიდან 30%-ით, ხოლო სოციალურად დაუცველებისთვის 70%-ით ფინანსდება.

ჯანდაცვის სამინისტროს ინფორმაციით, C ჰეპატიტის პროგრამა უწყვეტად იქამდე გაგრძელდება, სანამ ამ დაავადების სრული ელიმინაცია არ მოხდება. ამერიკული კომპანია ჩილეად კი, საქართველოს უწყვეტად და უსასყიდლოდ მიაწვდის მედიკამენტებს.

აღსანიშნავია, რომ C ჰეპატიტის პრევენციისთვის აუცილებელია სამედიცინო დაწესებულებში, სტომატოლოგიურ კლინიკებში, სილამაზისა და ტატუს სალონებში სტერილიზაციის ნორმების სრული დაცვა. ეს ის ადგილებია, სადაც C ჰეპატიტის ვირუსით დაინფიცირების (გადადების) მაღალი რისკია.

სურსათის ეროვნულმა სააგენტომ 11 ბიზნესოპერატორს საწარმოო პროცესი შეუჩერა

სურსათის ეროვნული სააგენტომ თბილისში, კრიტიკული შეუსაბამობების გამო 3 სასაკლაოს, 4 ხორცის საბითუმო სარეალიზაციო ობიექტს, 3 საზოგადოებრივი კვების ობიექტსა და 1 აგრარულ ბაზარს საწარმოო პროცესი შეუჩერა. სხვადასხვა დარღვევის, მათ შორის, ხორცის ეტიკეტირების წესის დარღვევისა და გაურკვეველი წარმომავლობის ხორცის რეალიზაციის გამო დაჯარიმდა 34 ბიზნესოპერატორი.

სურსათის ეროვნული სააგენტოს ინფორმაციით, აგრეთვე, შემოწმდა ფრინველთა და ცხოველთა სასაკლაოები, საზოგადოებრივი კვების ობიექტები და აგრარული ბაზრები.

„მომხმარებელთა ინტერესების დაცვის და სურსათის უვნებლობის სტანდარტების უზრუნველყოფისთვის, სურსათის ეროვნული სააგენტო განაგრძობს შემოწმებას მთელი ქვეყნის მასშტაბით. სააგენტო განსაკუთრებულ ყურადღებას დაუთმობს მალფუჭებადი სურსათის - ხორცისა და ხორცპროდუქტების, რძისა და რძის პროდუქტების შესაბამისობის დადგენას ტექნიკური რეგლამენტებით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან. აგრეთვე, ინფორმირებულობის გაზრდის მიზნით, გაგრძელდება საინფორმაციო შეხვედრები ბიზნესოპერატორებთან“, - განაცხადა სურსათის ეროვნული სააგენტოს უფროსმა ზურაბ ჩეკურაშვილმა.

სამმართველომ მიმდინარე თვეს თბილისის მასშტაბით 110 ინსპექტირება და 140 ბიზნესოპერატორის დოკუმენტური შემოწმება განახორციელა, მათ შორის, 83 ხორცის სარეალიზაციო ობიექტში.

გამგებლის ახალი ინიციატივა

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებელი ნიკოლოზ ჯანიაშვილი ახალი ინიციატივით გამოდის – 1 მარტიდან ის მოსახლეობასთან შეხვედრების ციკლს იწყებს – **"ერთი დღე სოფელში"**. გამგეობის შესაბამისი სამსახურების წარმომადგენლებთან ერთად ერთ დღეს ის ხალხთან გაატარებს და მათ პრობლემებს უშუალოდ გაეცნობა. **„ამ ერთი დღის განმავლობაში შევხვდებით კონკრეტული სოფლის მოსახლეობას, მათთან ერთად ვისაუბრებთ სოფლის პრობლემებზე და მათი გადაჭრის გზებსაც ერთად დავსახავთ. მინდა, კვირაში ერთხელ ჩემი თვალით ვნახო, როგორია ერთი დღე კონკრეტულ სოფელში, როგორ ცხოვრობენ, რა უხარიათ, რა სტკივათ, ყველაზე მეტად რაზე ოცნებობენ...**

ზოგ ადამიანს, სიშორის ანდა სხვა ობიექტური ფაქტორის გამო, უჭირს რაიონულ ცენტრში ამოსვლა, ამიტომ სოფლებში ჩვენი ვიზიტისას წავიღებთ განცხადებების სპეციალურ ბლანკებს, რომლებსაც იქვე შეავსებენ და შემდეგ ჩვენი წარმომადგენლები გამგეობის კანცელარიაში გაატარებენ რეგისტრაციაში, ანუ, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ადგილზე ჩავა სერვისი, რომელიც მოსახლეობას ბიუროკრატიულ ფორმალობას თავიდან ააცილებს" - განაცხადა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა.

გამგებლის აზრით, ეს ინიციატივა მოსახლეობასთან მეტი კომუნიკაციის საშუალებას მისცემს ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებს და ასევე, სერიოზულ როლს შეასრულებს მათი პრობლემების სწრაფად გადაწყვეტის საქმეში.

იმისთვის, რომ სოფლების მეტი მოსახლეობა მოიცვას ამ ინიციატივამ, გამგებელი გეგმავს, შეხვედრების გრაფიკი წინასწარ გამოქვეყნდეს საჯაროდ.

როგორ ვიზრუნოთ სისუფთავეზე?!

საქართველო უძველესი ისტორიისა და კულტურის ქვეყანაა, უნიკალური ბუნების სანახავად უამრავი ტურისტი სტუმრობს ჩვენს ქვეყანას, მაგრამ მათ გაოცებას ძველი კულტურის ძეგლების ნახვასთან ერთად იწვევს ნაგვით სავსე გარემო. სხვადასხვა სახის საყოფაცხოვრებო ნარჩენი, სიგარეტის ნამწვი, რომელსაც ყოველი მეორე მწეველი სანაგვე urნის ნაცვლად უცერემონიოდ ქუჩაში აგდებს, პოლიეთილენის პარკები, რომლებიც ქარში ყველგან გხვდებათ და ადვილი შესაძლებელია, სახეზეც კი „შემოგხვიოთ ხელი", ოღონდ არა სიყვარულით... მოკლედ, ნაგავი, ნაგავი, ყოველ ნაბიჯზე ნაგავი... ამას ემატება მანქანებიდან გადმოყრილი გოთლები, რომლებიც გარემოს დანაგვიანების გარდა საფრთხესაც უქმნის სხვა ავტომანქანაში მსხდომთ...

ამის მნახველი ტურისტები ნამდვილად ვერ აღფრთოვანდებიან ქართული კულტურით...

უამრავი მოწოდებისა და გარემოსდამცველთა მიერ დასუფთავების აქციების ჩატარების მიუხედავად, სურათი მნიშვნელოვნად მაინც არ იცვლება. როგორც ჩანს, არც ნაგვის urნები და არც მოწოდებები საქმეს არ შველის, საჯარიმო სანქციების ამოქმედება კი დროში იწელება იმ იმედით, რომ ყველაფერი ცოტა ხანში გამოსწორდება. ფურცელზე დაწერილი კანონი არ კანონობს, ამიტომაც თვლიან ადამიანები, რომ გარემოს დანაგვიანება დასაშვებია... ამ დროს ყველას ავიწყდება დაუწერელი კანონი კულტურის შესახებ, სადაც ერთ-ერთ მთავარ კომპონენტს სისუფთავე წარმოადგენს, როგორც საკუთარი სახლის, ისე ქვეყნის.

იდენტური ვითარებაა დედოფლისწყაროშიც. მიუხედავად იმისა, რომ სანაგვე urნები დაიდგა და ნაგავმზიდებიც დროულად სცლიან urნებს, სისუფთავის პრობლემა კვლავ აქტუალურია. ეს საკითხი განსაკუთრებული სიმძაფრით სოფლებში აღიქმება, იქ, სადაც სანაგვე urნები საჭირო რაოდენობით არ არის. როგორ აპირებს დასუფთავების საკითხის მოგვარებას დედოფლისწყაროს ადგილობრივი ხელისუფლება, ამის შესახებ მუნიციპალიტეტის გამგებელი გვესაუბრება: **„გეთანხმებით, რომ გარემოს დანაგვიანების პრობლემა ბოლომდე გადაჭრილი არ არის. ადგილობრივი ხელისუფლება ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ საჭირო ინფრასტრუქტურა მოაწყოს, რათა ადამიანებს ნაგვის განთავსებისა და გატანის პრობლემა აღარ ჰქონდეთ. მუნიციპალიტეტმა შეიძინა ორი ახალი ნაგავმზიდი, ცოტა ხანში ჩამოვა 100 ახალი სანაგვე urნა, რომლებსაც განვათავსებთ იმ სოფლებში, სადაც მათი დეფიციტია, საუბარია ზემო მაჩხაანზე და ქედების ზონის სოფლებზე. მინდა, მოსახლეობამ გაითავისოს, რომ თავისი სოფლის სისუფთავეზე ყველამ უნდა ვიზრუნოთ. ალბათ ყველასთვის ცნობილია, რომ ცოტა ხნის წინ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი მოიცვა მასშტაბურმა დასუფთავების აქციამ, რომელშიც აქტიურად იყვნენ ჩართულნი სკოლების პედაგოგები და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები. ეს კარგი ინიციატივაა, მაგრამ მოსახლეობის მეტი ჩართულობაა საჭირო. მიმაჩნია, რომ დასუფთავების აქცია საყოველთაო უნდა იყოს, რათა მაგალითი მივცეთ მომავალ თაობას. ყველამ უნდა გააცნობიეროს, რომ სუფთა გარემოში ცხოვრება ჯანმრთელობის საწინდარია"** – განაცხადა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა.

ახალი ტექნიკისა და სანაგვე urნების შესაძენად საკმაოდ დიდი ინვესტიცია ჩაიდო-430 000 ლარი დაიხარჯა, ამიტომ მუნიციპალიტეტის გამგებელი მიიჩნევს, რომ დედოფლისწყაროს-ჩვენი მშობლიური რაიონის სისუფთავეზე ყველამ თანაბრად უნდა იზრუნოს, წინააღმდეგ შემთხვევაში კანონდამრღვევების წინააღმდეგ საჯარიმო სანქციების ამოქმედება გახდება საჭირო. „თუ აქამდე დამნაგვიანებლების მიმართ ლმობიერი დამოკიდებულება იყო, რადგან ინფრასტრუქტურა არ იყო სათანადოდ მოწყობილი, ამიერიდან, როცა ახალ სტანდარტზე გადავდივართ, საჯარიმო სანქციები ამოქმედდება ყველას მიმართ, ვინც დაანაგვიანებს თავის ქუჩას, ქალაქს, თუ სოფელს."

არჩევანში ყველანი თავისუფლები ვართ: -როგორ ვიზრუნოთ სისუფთავეზე?- ჩვენი ნებით და დავამტკიცოთ, რომ საქართველო და ქართველი ხალხი ნამდვილად იმსახურებს კულტურული ერის სტატუსს, თუ იძულებითი წესით- საჯარიმო სანქციებით?!

ინგა შიოლაშვილი

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებლის ბრძანება №61

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტიდან სამხედრო სავალდებულო სამსხურში მოქალაქეთა 2017 წლის საგაზაფხულო გაწვევის კომისიის შექმნისა და მოქალაქეთა გაწვევის ორგანიზებულად ჩატარების შესახებ

ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ე“ ქვეპუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-ე მუხლის და „სამხედრო ვალდებულებებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად „სამხედრო სავალდებულო სამსხურში მოქალაქეთა 2017 წლის საგაზაფხულო გაწვევის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 03 თერბერვლის N57 დადგენილების შესასრულებლად, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტიდან სამხედრო სავალდებულო სამსხურში მოქალაქეთა გაწვევის ორგანიზებულად ჩატარების მიზნით.

ვბრძანებ:

1. შეიქმნიას დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საგაზაფხულო გამწვევი კომისია შემდეგი შემადგენლობით:

ნიკოლოზ ჯანიაშვილი - დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებელი, კომისიის თავმჯდომარე.

მამუკა ალადაშვილი - დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგეობის სამხედრო აღრიცხვის, გაწვევის და მობილიზაციის სამსახურის უფროსი, კომისიის თავმჯდომარის მოადგილე;

ირინა ზელენსკაია - დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგეობის სამხედრო აღრიცხვის, გაწვევის და მობილიზაციის სამსახურის მთავარი სპეციალისტი, კომისიის მდივანი;

იოსებ ბუთხუზი - შსს დედოფლისწყაროს რაიონული სამსახურის უფროსის მოადგილე;

მალხაზ მერაბიშვილი - დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის ადმინისტრაციულ ერთეულებთან ურთიერთობის კოორდინაციის განყოფილების უფროსი, კომისიის წევრი;

ზურაბ ჯანგულაშვილი - საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის წარმომადგენელი;

2. დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტიდან სამხედრო-სავალდებულო სამსახურში მოქალაქეთა გაწვევა განხორციელდეს 2017 წლის 01 თებერვლიდან 2017 წლის 30 ივნისამდე.

3. სამხედრო სავალდებულო სამსახურში გაწვეულ იქნენ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები 18-დან 27 წლამდე ასაკის მოქალაქეები, რომელსაც არა აქვთ სამხედრო-სავალდებულო სამსახურში გაწვევისაგან გათავისუფლების ან მისი გადავადების უფლება.

4. 18-დან 27 წლამდე ასაკის გასაწვევი მოქალაეები ამ დადგენილების ამოქმედების დღიდან ვალდებულნი არიან, გამოცხადდნენ მუნიციპალიტეტის გამგეობის შესაბამის სტრუქტურულ ერთეულში რეგისტრაციის/ფაქტობრივი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

5. დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში მცხოვრები 18-დან 27 წლამდე ასაკის გასაწვევი მოქალაქეები ვალდებულნი არიან, გაწვევის დღისათვის გამოცხადდნენ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგეობის სამხედრო აღრიცხვის, გაწვევის და მობილიზაციის სამსახურში.

6. მოქალაქეთა მიერ სამხედრო-სავალდებულო სამსახურში გაწვევის გადავადების მოსაკრებელის გადახდა განხორციელდეს გაწვევის მთლიან პერიოდში, სამხედრო-სავალდებულო სამსახურში გაწვევის უწყების მიღებიდან 10 დღის ვადაში.

7. ეთხოვოს შსს დედოფლისწყაროს რაიონულ სამმართველოს, აღმოუჩიმნოს დახმარება დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგეობის სამხედრო აღრიცხვის, გაწვევის და მობილიზაციის სამსახურს იმ წვევამდელთა მოძებნასა და გამწვევ კომისიაზე გამოცხადებაში, რომლებიც თავს არიდებენ სამხედრო სავალდებულო სამსახურს.

8. ბრძანება გამოქვეყნდეს გაზეთ „შირაქში“;

9. ბრძანება ძალაშია საჯაროდ გამოცხადებისთანავე და გავრცელდეს 2017 წლის 1 თებერვლიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

10. ბრძანების გასაჩივრება შეიძლება სიღნაღის რაიონულ სასამრთლოში (ქ.სიღნაღი, ცოტნე დადიანის ქ. N15) ბრძანების გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლებთან სიახლოვეს...

გასულ კვირას მხარეთმცოდნეობის მუზეუმმა საპატრიარქოს სკოლის მე-5,მე-6 კლასის მოსწავლეებს უმასპინძლა. სკოლის ხელოვნების მასწავლებლის გია ყაჭაშვილის და მუზეუმის თანამშრომელთა ერთობლივი ინიციატივით ჩატარდა გასვლითი გაკვეთილი, რომელიც თავისი შინაარსით დიდი ინფორმაციის მიმწოდებელი იყო მოსწავლეებისთვის.

ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის არქიტექტურა იყო მთავარი საკითხი გაკვეთილის მსვლელობისას.

თუ როგორ და რა დოზით უნდა მიეწოდებოდეს სახელმწიფო სკოლებს რელიგიის სწავლება და მასთან დაკავშირებული საკითხები-ამაზე ჯერ კიდევ ფიქრობენ და მსჯელობენ მშობლები. მათ მნიშვნელოვან ნაწილს სურს, რომ მათი შვილები რელიგიური ტრადიციების შესაბამისად იზრდებოდნენ, სულიერი აღზრდის მთავარ პირობად მიიჩნევენ ამას, ხოლო მშობელთა ნაწილს ჯერ ბოლომდე გაცნობიერებული არ აქვს ეს საკითხი. მაგრამ საპატრიარქოს სკოლებში რელიგიის გაძლიერებული სწავლება, რა თქმა უნდა, პრიორიტეტული რომ არის, დღეს ამაზე არ ვკამათობთ. ჩვენ დღეს გიამბობთ იმ მრავალფეროვანი თემის შასახებ, რომელიც მუზეუმში სტუმრად მოწვეულმა ბავშვებმა შეიტყეს.

მხარეთმცოდნეობის მუზეუმის არქიტექტორმა სერგო ქართველიშვილმა მოსწავლეებთან ვრცლად ისაუბრა ხორნაბუჯისა და ჰერეთის ეპარქიაში შემავალი ქართული მართლმადიდებლური ეკლესია-მონასტრების ისტორიულ მნიშვნელობაზე.

მუზეუმის სპეციალისტი ლალი ბასილაშვილი მოსწავლეებს სოფ. ოზაანის ტყის შუაგულში მდებარე ულამაზეს ტაძარზე „ამაღლებაზე“ ესაუბრა. მეცხრე-მეათე საუკუნეებით დათარიღებულ ეკლესიაზე იმ დღეს ბავშვებმა ბევრი მითი თუ რეალობა მოისმინეს, გაიგეს ფრესკისმწერელ მიქაელზე, თქმულება მეფე თამარსა და „ამაღლების“ ტაძარში მიქაელის შეხვედრაზე, ასევე მოსწავლეებმა დაათვალიერეს ტაძრის გუმბათის უნიკალური ნიმუშები-მოჭიქული კრამიტები, რომელიც მუზეუმის საცავში ინახება და დამთვალიერებელს აოცებს ხელოვნების უმაღლესი ხარისხით.

სამრეკლოს წმ.სერაფიმე საროველის ტაძრის შესახებ ესაუბრა მოსწავლეებს მუზეუმის სპეციალისტი ნინო პოპიაშვილი.

-რუსულ მედიაში გასულ წელს გამოქვეყნდა წერილი სერაფიმე საროველზე, სადაც გამოთქმული იყო დასაბუთებული ვერსია, რომ ამ წმინდანს ეკუთვნოდა სიტყვები:“არასოდეს არ იომოთ საქართველოსთან,ამით თქვენ შეებრძოლებით დედას ღვთისას...ეს დაღუპავს რუსეთს“...

თუ ვინ იყო წმინდა ბერი სერაფიმე საროველი, ვინ და როგორ აშენდა მისი სახელობის ტაძარი მე-19 საუკუნის მიწურულს სოფ. სამრეკლოში,როგორ მოხდა მე-11 არმიის მიერ 1921 წელს ტაძრის განადგურება, ხოლო შემდეგ ხელახალი რესტავრაცია და ამოქმედება, ამის შესახებ ვრცელი ინფორმაცია მიიღეს ბავშვებმა.

შემეცნებით-გასვლითი გაკვეთილის დასასრულს საპატრიარქოს სკოლის ხელოვნების პედაგოგმა გია ყაჭაშვილმა ჩვენთან საუბარში აღნიშნა, რომ მისი მიზანი იყო, ბავშვებს აღექვათ ხელოვნება ისტორიულ, კულტურულ და რელიგიურ კონტექსტში. მან მადლობა გადაუხადა მხარეთმცოდნეობის მუზეუმის თითოეულ თანამშრომელს და დირექტორს ლალი გურასპაულს გაწეული თანადგომისა და განსაკუთრებული მომზადებისათვის.

ელზა ხარაშვილი

სოფელ სამრეკლოს განახლებული საზოგადოებრივი კოლეჯი „აისი“ და ჩვენი რეალობა

დღეს საქართველოში, ბევრი დიპლომირებული ადამიანია დაუსაქმებელი, რადგან შესაბამისი სპეციალობით რთულია შესაფერისი სამუშაოს პოვნა. სწორედ ამ მიზნით სახელმწიფომ დაიწყო მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების და ხელშეწყობის პროგრამის ამოქმედება. პროგრამის მიხედვით ქვეყნის განვითარების ხერხემალი მცირე და საშუალო ბიზნესი გახდა. ამისთვის რეგიონებში საუკეთესო საშუალებაა პროფესიული განათლების მიღება, რომელიც, ხშირ შემთხვევაში, ადამიანების მეორადი პროფესიაა, მაგრამ ბევრად პრაგმატულია მისი ცხოვრებაში გამოყენება, ვიდრე უმაღლესი განათლებისა.

სოფელ სამრეკლოში ჩემი ვიზიტის მიზანი განახლებული პროფესიული სასწავლებლის სიახლეებისა და სწავლების სისტემის ახლოდან გაცნობა გახლდათ. და აი, ზამთრის ძლიერი ყინვების ფონზე, მაინც არ ჩავშალე დასახული გეგმა და სამრეკლოს პროფესიულ სასწავლებელში ვარ. უნდა გამოგიტყდეთ, რომ ყოველთვის მაინტერესებდა, როგორ ხდებოდა უბრალო პროფესიების სწავლება და პრაქტიკული გაკვეთილები. შენობა თანამედროვე სტანდარტებითაა აღჭურვილი, თბილ და სასიამოვნო გარემოს კარგი პედაგოგები უკეთესს ხდიან. პირველ რიგში საზოგადოებრივი კოლეჯი „აისის“ დედოფლისწყაროს მენეჯერის ანზორ კირვალიძის კაბინეტს მივაშურე. ძალიან გაიხარა იმით, რომ ჩვენი გაზეთი მათი სასწავლებლით დაინტერესდა.

ბატონი ანზორისგან ვიგებთ, რომ სოფელ სამრეკლოში არსებული პროფესიული სასწავლებელი, რომელიც წლების წინ სოფლის მეურნეობაზე იყო ორიენტირებული, ათეული წლების მანძილზე უძლებდა სხვადასხვა წყობის წნეხს. საზოგადოებრივი კოლეჯი „აისის“ დედოფლისწყაროს განყოფილების მენეჯერი, ძალიან კარგი ადამიანი და საქმისთვის მოწოდებული პიროვნება, ანზორ კირვალიძე, წლებია, ამ ორგანიზაციას უდგას სათავეში, სწორედ მისი დიდი ძალისხმევით ყველაფერი გაკეთდა, რომ დაეცვათ, შეენარჩუნებინათ და დღემდე მოეტანათ აღნიშნული შენობა. ცენტრის ხელმძღვანელის ნათელა პაპუნაშვილის ინიციატივითა და დიდი ხელშეწყობით, რომელიც ითავსებს კახეთის სამ პროფესიულ სასწავლებელს, კერძოდ,- ახმეტის, დედოფლისწყაროს და კაჭრეთის პროფესიულ სასწავლებლებს, 2015 წელს მოხდა სამივე პროფსასწავლებლის თანამედროვე, ევროპული სტანდარტებით აღდგენა- რეაბილიტირება და დღეს ჩვენს მუნიციპალიტეტში ერთ-ერთი სერიოზული პროფესიული სასწავლო ცენტრი გვაქვს, რომლითაც შეგვიძლია ვიამაყოთ.

ვესაუბრებით საზოგადოებრივი კოლეჯი „აისის“ დედოფლისწყაროს განყოფილების მენეჯერს **ანზორ კირვალიძეს.**

- ჩვენი შენობა განათლების სამინისტროს და ცენტრის ხელმძღვანელის ქალბატონი ნათელა პაპუნაშვილის ინიციატივით განახლდა. რეაბილიტაცია 2015 წლის ნოემბრის თვეში დასრულდა, 2016 წლის სექტემბერში კი, ევროსტანდარტების დონის მატერიალური ბაზით აღიჭურვა და ახალი შემართებით განვაახლეთ სწავლა. სპეციალობების მიხედვით ამ ეტაპზე გვაქვს ყველანაირი საშუალება, როგორც თეორიული, ასევე ტექნიკური სწავლებისთვის. თეორიულ სწავლებას ეთმობა ცალკე კლასი, ხოლო პრაქტიკული სწავლებისთვის გვაქვს ქვედა სართულზე ცალკე ოთახები, სადაც ყველა სტანდარტის დაცვითაა აღჭურვილი სასწავლო პროცესი. ამჟამად სულ 122 სტუდენტი გვერიცხება, აქედან ხუთი ჯგუფი დღის მეორე ნახევარში სწავლობს, ხოლო ოთხი ჯგუფი დღის პირველ ნახევარში, ერთი ჯგუფი ამჟამად გასულია საწარმოო პრაქტიკაზე.

- ცნობილია ისიც, რომ დარგების გამრავალფეროვნებაც მოხდა, დღეს რა სპეციალობები ისწავლება თქვენს კოლეჯში?

- ისწავლება შემდეგი დარგები: ექთნის თანაშემწე, თექის სპეციალისტი, ვეტერინარია, ელექტრიკოსი, კალატოზი, თმის სტილისტი, ბუღალტერ-ტექნიკოსი. მაღალი მოთხოვნაა საბუღალტრო სპეციალობაზე, ექთნის თანაშემწეზე და, თქვენ წარმოიდგინეთ, სტილისტის პროფესიაც ძალიან მოთხოვნადი გახდა. სამწუხაროდ, ნაკლებად აინტერესებთ ვეტერინარია და ელექტრიკოსობა, თუმცა, ორივე პროფესიები რაიონში ძალიან საჭიროა და დასაქმებადი, რადგან ამ სპეციალობის კადრების გასაჭირი ნამდვილად შეინიშნება.

- იგრძნობა, რომ საკმაოდ კარგი ხელშეწყობა გაქვთ, ეს სამინისტროს პროროგატივაა, თუ თავად იძიებთ რესურსებს?

-განათლების სამინისტრო გვამარაგებს უნიკალური მასალებით, ჩვენ არაფერზე არ გვაქვს შეფერხება და შეზღუდვა. გვაქვს უმაღლესი დონის მომარაგება, აი, მაგალითად ექთნის თანაშემწის შესასწავლად, ყველა აღჭურვა გვაქვს, მანეკენებიც კი გვყავს თვალსაჩინოებისთვის. თექის შესწავლისთვის, მატყლის, საპნის, ნაჭრების, ლენტების, ნემსების და ყველაფერი იმის მომარაგება გვაქვს, რაც კი შეიძლება, რომ იყოს საჭირო ამ საქმისთვის.

- სამომავლო გეგმები როგორია?

- ცოტა ხნის წინ, კაჭრეთში მინისტრთა კაბინეტის შეხვედრა იყო, მრგვალ მაგიდასთან ვისხედით ხუთნი, სოფლის მეურნეობის მინისტრი ლევან დავითაშვილი განათლების მინისტრი ალექსანდრე ჯეჯელავა, ქალბატონი ნათელა, მე და ალვანის წარმომადგენელი. იქ მე წამოვაყენე წინადადება, რომ მსურდა ეზოს რეაბილიტაციასთან ერთად პურისა და პურპროდუქტების გადამამუშავებელი ტექნოლოგიის სპეციალობის დამატება და აქვე ეზოში მარცვლეულის გადამამუშავებელი მინი საამქროს გაკეთება, იდეა მოიწონეს და განათლების მინისტრისგან მივიღეთ მხარდაჭერა. გაგზავნილია საპროექტო განაცხადი და გადაწყვეტილია, გამოცხადდეს ტენდერი ეზოს კეთილმოწყობაზე, ასე რომ, გაზაფხულზე ეზოს კეთილმოწყობა იგეგმება.

-რამდენთვიანია თქვენთან სწავლების კურსი?

-სხვადასხვა ხანგრძლივობის კურსებია, მაგალითად თექის სწავლა 17 თვიანია, მედდის კურსები-18 თვიანი. თითქმის ამდენთვიანი სწავლებაა ყველა დარგის სპეციალობაში. გაზაფხულზე ვაპირებთ ჩავერთოთ გენდერულ აქციაში და ქალებს მეტი შანსი მივცეთ, დაეუფლონ ცოდნას. მსურველებს მოვუნოდებთ მოვიდნენ, ჩვენ ყველა ხელშეწყობა გვაქვს, შეღავათიც შეგვიძლია გავუკეთოთ, თუკი სამსახური აქვთ, მათ შეუძლიათ მეორე ცვლაზე ჩაეწერონ, მთავარია, გამოთქვან სურვილი. მინდა დავამატო, რომ ჩვენთან სწავლების სურვილისა და მონდომებისთვის ასაკი არაა შეზღუდული, ნებისმიერი ასაკის ადამიანს შეუძლია მოვიდეს და ისწავლოს, ჩვენ გვყავს 60 წლის ქალბატონი სტუდენტი, რომელიც შვილთაშვილების ბებიაა და მისი მაგალითი სწორედ ის პრეცენდენტია, რომელიც ამსხვრევს ასაკობრივ სტერეოტიპებს სწავლებაში.

- დედოფლისწყარო სოფლის მეურნეობის რაიონია, აქ ძალიან კარგი იქნებოდა მეფუტკრეობის დარგის შესწავლა, ანდა ღვინისა და კვების ტექნოლოგების მომზადება. ასევე მნიშვნელოვანი იქნებოდა სოფლის მეურნეობის სპეციალისტების გაზრდა ან მეთესლეობის ლაბორატორია აღდგენილიყო და ამ დარგის სპეციალისტები მოგვეზიდა, ამ კადრების არარსებობის გარეშე, სოფლის მეურნეობა ჩვენს რაიონში ვერ წაიწევს წინ.

-კარგი სპეციალობებია, ჩვენ ხომ ჯერ-ჯერობით ახლახანს დავიწყეთ განახლებული ძალებით მუშაობა, ხელშეწყობაც ბოლო ორი წელია შეგვექმნა. არ გამოვრიცხავ, რომ თქვენს მიერ ჩამოთვლილი ყველა დარგის სპეციალისტები მოვამზადოთ სამომავლოდ. დღეს ახალგაზრდობას არ სურს ამ სპეციალობების შესწავლა და სოფლებში დასაქმება, მაგრამ, მალე მიხვდებიან, რომ ეს საქმე საკმაოდ მომგებიანია. წეღან აღვნიშნე, რომ ვეტერინარიაზე მომართვიანობა ძალიან დაბალია, არადა, ძალიან მოთხოვნადი და კარგი სპეციალობაა.

-რაც შეეხება კადრებს, მოწვეული პედაგოგები არიან, თუ ადგილობრივი კადრია?

-ადგილობრივი კადრია, მაგრამ საკმაოდ მაღალკვალიფიციურები არიან, ისინი მუდმივად გადიან ტრენინგებს, უკვე მეოთხე ეტაპი გაიარეს ოთხდღიანი ტრენინგების, მოლოდინშია მეხუთე ეტაპის ტრენინგ-სემინარები და ეს განახლების პროცესი მუდმივად გრძელდება, რაც მათი მაღალკვალიფიციურობის გარანტია.

ბატონმა ანზორმა შემოგვატარა ყველა სპეციალობის თეორიული და პრაქტიკული სწავლების კლასები. მექანიზატორის პროფესიის დაუფლების გაკვეთილებზე გვესაუბრა პედაგოგი არჩილ ჩაფიაშვილი, რომელსაც ყველა აღჭურვილობა და თვალსაჩინოება ჰქონდა ორივე კაბინეტში, ექთნის თანაშემწის პროფესიის თავისებურება გაგვაცნო პედაგოგმა ეკა ტოკლიკიშვილმა, რომელიც ამ დღეს ინექციის მომზადებას, ინექციის გაკეთებას კუნთში, კანქვეშ და ვენაში ასწავლიდა. სტუდენტებით საკმაოდ მრავალრიცხოვანი დაგვხვდა სტილისტის ოთახი, აქ საინტერესო ის გახლდათ, რომ სტუდენტები მანეკენებზე სწავლობდნენ და აჭრიდნენ თმებს, ხოლო მანეკენების განახლებაზე და მომარაგებაზე უპრობლემოდ ზრუნავს განათლების სამინისტრო.

საკმაოდ საინტერესო აღმოჩნდა თექის შემსწავლელ გაკვეთილზე დასწრება, სადაც პრაქტიკულ სამუშაოს ასრულებდნენ. სამუშაო პირობებზე და ხელშეწყობაზე ამ მიმართულებით უკვე აღარ ვსაუბრობთ. სპეციალური მაგიდები, ცხელი და ცივი გამდინარე წყალი, საპონი,ღრუბელი, ნემსები, ნაირფერადი მატყლები, ეს ყველაფერი განათლების სამინისტროს მომარაგებაში შედის.

ჩვენ გვესაუბრა თექის პედაგოგი იამზე ალუღიშვილი:

- პირველ ეტაპზე ვფენთ ტილოს, შემდეგ ცელოფანს, შემდეგ ძირის მატყლს, მეორე ფენად ვაფენთ ფონს, ხოლო მესამე ფენაზე ვაკეთებთ მხატვრულად კომპოზიციას, ეს იქნება ყვავილები, თუ სხვა რაიმე, ნახატის თექაზე ამოყვანა,-გვიხსნიან თექის რეწვის პედაგოგები ნინო ბურდული და იამზე ალუღიშვილი.

- მოგვიყევით თქვენი ისტორია, სად დაიბადეთ, როდის დაინტერესდით ამ დარგით და როდის გაჩნდა ესოდენ საინტერესო ხელსაქმის პედაგოგობის სურვილი?

ნინო ბურდული -დავიბადე დედოფლისწყაროს რაიონის სოფელ არხილოსკალოში, 1958 წელს, მაქვს საშუალო განათლება, თექის დარგში თვითნასწავლი ვარ, თავდაპირველად ოჯახში ვისწავლე, როგორც კი შევძელი რომ ხელსაქმე დამეწყო, მას მერე ვხელსაქმობ. ვიღწვი, რომ რაღაც დავინახო, სიახლე შემოვიტანო, მიხარია, რომ შემიძლია ჩემი ცოდნა სხვას გადავცე.

იამზე ალუღიშვილი წარმოშობით ხაშურელია. იგი 1962 წელს დაიბადა, სტუდენტობის დროს გაიცნო მეუღლე და ასე მოხვდა ჩვენს რაიონში, აგროქიმიურ ლაბორატორიაში სპეციალისტად მუშაობდა 12 წელი, შემდეგ მესამე საჯარო სკოლაში განაგრძო ქიმიკოსად მუშაობა, როდესაც გაიგო, რომ კოლეჯში თექის სწავლება დაემატა, თავი არ დაზოგა, შინაგანმა ძახილმა და საქმის სიყვარულმა თელავის უნივერსიტეტში რეწვის ხელოვნებაზე სასწავლებლად ქალბატონ ნინოსთან ერთად წაიყვანა და დღეს ის სერთიფიცირებული პედაგოგია.

თექის თელვის პროცესში შემოგვემატა 60 წლის სამრეკლოელი ქალბატონი მზია კახეთელიძე. რომლის შემართებამ და დაუზარელობამ ფრიად წაგვახალისა ყველა და დაგვარწმუნა, რომ სწავლა და პროფესიის დაუფლება არასოდეს არაა გვიან.

-60 წლის ვარ, ჭრა-კერვა, ქარგვა, ქალის ხელსაქმე ყოველთვის მიზიდავდა და მაინტერესებდა, მინდოდა თექის შესწავლაც, პედაგოგებმა დამაინტერესეს და შემომთავაზეს, რომ მოვსულიყავი და შემესწავლა, ეს ხელოვნება, მართალია რაღაც დონეზე ვიცოდი, მაგრამ უკეთესად, ბევრად პროფესიონალურად შემასწავლეს. მყავს სამი შვილი, ხუთი შვილიშვილი, ორი შვილთაშვილი. ჩემს ამ კუთხით დაინტერესებას, კიდევ ის დადებითი აქვს, რომ სახლში 6 და 7 წლის შვილიშვილები მყავს – გოგონებიც დაინტერესდნენ ამ ხელსაქმით და ყოველთვის ჩართულები არიან ჩემს ხელსაქმეობაში. პროფესიით აგრონომი ვარ, 13 წელი ჯაფარიძეში ვმუშაობდი მევენახეობის ბრიგადირად, შემდეგ მცენარეთა დაცვის აგრონომად ვმუშაობდი, საბუღალტროც მაქვს დამთავრებული, მაგრამ ყველას ეს სპეციალობა ვარჩიე, რადგან შემოსავლიანია. ამ ხელსაქმით ვირჩენ თავს და ოჯახსაც ვეხმარები. წლებია, ჩემს ნამუშევრებს თბილისში ვაბარებდი და ხელფასის სახით ვიღებდი თანხას. დღემდე ასე ვარ.

გახარებულმა და დაიმედებულმა დავტოვე სოფელი სამრეკლო. გახარებულმა იმით, რომ დავინახე ის რეალობა, რასაც კომფორტი და განათლების სამინისტროსგან შეუზღუდავი, ხელგაშლილი მხარდაჭერა ჰქვია. იმედი კი, იმის, რომ უბრალო პროფესიების ადამიანების მოცემულობით საქართველოში მცირე და საშუალო ბიზნესი უფრო ფართოდ მოიკიდებს ფეხს, რაც ქვეყნის გრძელვადიან განვითარებას და სამომავლო ეკონომიკური აღმავლობის პერსპექტივის გარანტიას სახავს.

ლალი მეხრიშვილი

რა გითხრათ, რით გაგახაროთ?!

„ამბობენ, რომ ერთი დამნაშავე რაღაც ავკაცობისათვის რამდენიმე წლით საპყრობილეში იყო დამწყვდეული. გაუთავდა თუ არა ვადა, საპყრობილის ზედამხედველმა გაუღო მას თურმე კარები და უთხრა: „შეჰკარ ბარგი, გამოდი ამ სულშემხუთავ ოთახიდან და ფეხწაუმტვრევლად იცხოვრე ქვეყანაზეო“. მაგრამ წარმოიდგინეთ, ზედამხედველის გაკვირვება, როცა დაინახა, რომ ამ ამბავმა პატიმარი სულაც არ გაახარა და ატირდა. სწორედ ამნაირია ქალების საქმეც: მამაპაპიდან კაცების ხელქვეითნი ყოფილან და თითქმის არავითარი სურვილი არ ჰქონდათ განთავისუფლებისთვის.

ახლა მსოფლიოში თითქმის ყველანი დარწმუნებულნი არიან, ქალები კაცებთან გათანასწორდება, ამით მამობრივ სქესს შეუმსუბუქებს ცხოვრების მძიმე ტვირთს. ამ თემის ირგვლივ ბევრი რამ არის ნათქვამი და დაწერილი უცხო ქვეყნების ლიტერატურაში და ყველასათვის, ვისაც კი გონება მამა-პაპური აზრებით და ცრუ მორწმუნეობით არა აქვს დახშული, ცხადათ დამტკიცებულია, რომ ქალი კაცის თანასწორად არის გაჩენილი, რომ ქალი მარტო შვილოსნობისთვის, ტკბილი გრძნობებისთვის არ არის დაბადებული. მაგრამ დღეს ამ საგნის თეორიტიკულ მხარეებზე არ ვილაპარაკებთ. ჩვენ გვსურს გავაცნოთ მკითხველს მხოლოდ ის სახსრები და ღონისძიება, რომლითაც განათლებული ქალები კაცების მონობისაგან დახსნას და საზოგადოთ თავის ცუდი მდგომარეობიდან გამოსვლას აპირებენ.

არც ერთ ქვეყანაში ქალებს ისეთი უფლება არა აქვთ, როგორც აშშ-ში. მათ თავიანთი ენერგიით, ჭკუით ბევრი უფლება ძალით წაართვეს კაცებს. ნიუ-ორკის სასოფლო სკოლებში სულ 26000 მასწავლებელია და აქედან 24000 -ქალია. ნიუ-ორკში და ვაშინგტონში არის მუდმივი ქალების კონგრესი და მას „ქალების პარლამენტი“ ქვია. მათ მოითხოვეს არჩევნებში მონაწილეობის მიღების უფლება და ერთ შტატში კიდევაც მოიპოვეს ამის უფლება. სადაც საზოგადოება იმდენად განათლებულია, როგორც აშშ-ში, სადაც ცოლ-ქმრობა მხოლოდ ერთმანეთის სიყვარულზე და არა მზითევზეა დამყარებული და ყველა ქალს ისეთი შრომის ასპარეზი აქვს გახსნილი, რომ ყოველთვის შუძლია თავისი ჭკუით და ხელებით დაირჩინოს თავი, იქ, რასაკვირველია, ქალი, როგორც სხვა მხრივ, არც ოჯახობაში იქნება კაცისაგან დამოკიდებული. ყოველ საქმეს ცოლი და ქმარი, როგორც კერძოს, ისე საზოგადოს, ერთად გადაწყვეტენ ხოლმე. დამოუკიდებლები არიან ახალგაზრდა ქალებიც თავის არჩევანში. მას შეუძლია ოჯახში მიიღოს ახალგაზრდა კაცი და თავისუფლად ესაუბროს პირად საქმეზე. მშობლებს ეს სრულიადაც არ აღელვებს, რადგან დარწმუნებული არიან, რომ არც ქალიშვილი და არც ახალგაზრდა კაცი უღირს საქციელს არ ჩაიდენენ.

ამერიკელის შემდეგ ყველაზე გაცხარებული მოძრაობა ქალების სასარგებლოდ ინგლისში ოყო. მათ მოითხოვეს ქონებრივი უფლება, ამორჩევითი უფლება. მათ ცდას უნაყოფოდ არ ჩაუვლია, მათ მოიპოვეს ყველა უფლებები და დღეს ქალები ედინბურგის, კებმრიჯის და ოქსფორდის უნივერსიტეტებში ვაჟებთან ერთად ისმენენ ლექციებს.

საფრანგეთში ყველა მამაკაცს ქალები მხოლოდ კაცის სათამაშოდ, დროს გასატარებლად და საარშიყოდ მიაჩნიათ. ქალებმა ხმა აღიმაღლეს, მათ გახსნეს ქალთა კლუბი, სადაც შეიმუშავეს პროგრამა საკუთარი უფლებების დაცვისა. დააარსეს საქალებო გაზეთი, სადაც აისახა მათი მოთხოვნები. მოვა დრო, როცა თავისუფალი აზრის გავრცელების საშუალებით და მეცადინეობით ფრანგი შეცვლის თავის შეხედულებას ქალებზე და ადამიანათ ჩარიცხულ ქალს ადამიანურ უფლებას მიანიჭებს.

ასევე ქალთა შეკრებები ტარდება გერმანიაში, სადაც ისახება ღონისძიებები ქალთა მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. ბერლინში შეკრებილმა კონგრესმა, რომელსაც დაესწრო ქალები ამერიკიდან, ინგლისიდან და შვეიცარიიდან შეიმუშავეს საქალებო სასწავლებლების ახალი პროგრამა, რადგან ძველი არ იძლეოდა სათანადო ცოდნას. დააარსეს სათანადო ორგანო და დასახეს ღონისძიებები ერთობლივი მოქმედებისა. მას შემდეგ ასეთი კონგრესი ყოველ წელს იკრიბება და თანამიმდევრულად აკეთებს თავის საქმეს.

1868 წელს რუსეთის ქალებმაც შეიტანეს ქაღალდი უნივერსიტეტში სწავლის უფლების მიცემაზე. მაგრამ სახალხო განათლების საბჭომ უარი უთხრა, – წერდა მაშინდელი პრესა საზღვარგარეთის ამბებში.

ახლა ვნახოთ, რას წერენ იმ პერიოდისათვის ქართულ ჟურნალ-გაზეთებში საქართველოში ამ საკითხთან მიმართებაში:

„უმთავრესი საფუძველი ჩვენი აღზრდისა ის არის, რომ ქალები და ვაჟები ცალკ-ცალკე უნდა იზრდებოდნენო, ქალს სხვანაირი აღზრდა უნდა, ვაჟს სხვანაირიო. ჩვენში ქალს და ვაჟს თითქმის აკვნიდანვე აშორებენ ერთმანეთს და ერთს სხვანაირად ექცევიან, მეორეს სულ სხვანაირად. ჩვენებურ დედას ვერაფრით ვერ დააჯერებ, რომ მისი ქალი და ვაჟი ერთნაირ საზოგადოებაში იცხოვრებენ და ერთნაირი მოთხოვნილებები ექნებათ.

განათლებულ ქვეყნებში დიდი ხანია გაიგეს, რომ ქალისა და ვაჟის ერთმანეთის მოშორება და განსხვავებული აღზრდა-მავნებელია და არა გამოსადეკი. იქ ქალები და ვაჟები გვერდიგვერდ სწავლობენ და უკეთეს ცოდნასაც იძენენ, ვიდრე იმ სკოლებში, საცა მარტო ქალები, ან მარტო ვაჟები იმყოფებიან.

ჩვენ გვსურს, რომ ამ აზრებს მიაქციონ ჯეროვანი ყურადღება იმ კერძო პირთა, რომლებიც სოფლებში სკოლის გახსნას ახერხებენ.

ჩვენ სოფლებში ერთი სკოლის გამართვაც მეტის-მეტად გასაჭირია, თორემ ორი სკოლის გამართვას, ცალკე ქალებისა და ცალკე ვაჯებისთვის, როგორ შეძლებს თავის ხარჯით სოფელი. მე მგონია, რომ ის სკოლები, რომლებიც სოფლებში ნელ-ნელა იხსნებიან ვაჟებისათვის, ქალებიც მიიღონ და ამნაირად ჩვენი სოფლის სკოლა შერეულ სკოლად გადაიოქცეს, სადაც ქალები და ვაჟები ერთად იზრდებიან ხოლმე“.

ამ წერილების გამოქვეყნებიდან საუკუნენახევარი გავიდა. საკითხი კი, ქალისა და მამაკაცის თანასწორუფლებიანობის შესახებ, კვლავ აქტუალურია, ცოტა სხვა რაკურსით, მაგრამ მაინც. საუკუნენახევრის წინაც ქალებს უხდებოდათ ბრძოლა, დაემტკიცებინათ, რომ ისინი მამაკაცების თანაბარნი არიან, დღესაც ისევ ქალის და მამაკაცის გენდერულ თანასწორობაზე ვსაუბრობთ. არჩევნებისას კვოტებსაც კი ვითხოვთ, რათა გაიზარდოს ქალთა რაოდენობა პარლამენტში, მაგრამ... რეალობა სხვანაირია, თითქმის უცვლელი. დღევანდელი ჩვენი ცხოვრების ახალმა სიტუაციებმა ქალს უფრო მეტი საზრუნავ-საფიქრალი გაუჩინა და ამ ტვირთის ზიდვა თავის სუსტ მხრებზე აიღო:- წავიდა საზღვარგარეთ, იშოვა სამსახური (ხშირად დამამცირებელიც), იშოვა ოჯახის სარჩენი ფული, ერთი სიტყვით, თავი გაიმეტა. ის იქ, მეუღლისაგან თვალსმიფარებული თავისი თავის მმართველია, და შესაბამისად, თავისუფალიც, მაგრამ არის კი ბედნიერი? უმრავლესობა – არა! რატომ? - იმიტომ, რომ დაირღვა ოჯახური ურთიერთობის ბალანსი, რომელიც ოჯახის წევრთა ურთიერთთანადგომას, ურთიერთსიყვარულს, პატივისცემას და მზრუნველობას გულისხმობს. ოჯახის ეკონომიური უზრუნველყოფის ქალზე გადამისამართების მომენტმა მამაკაცი ჩრდილში მიაყენა, მარჩენალის ფუნქცია დაუკარგა, რამაც, ერთგვარად დააკნინა იგი. ნაწილობრივ ამ გარემოების და ნაწილობრივ მორალურ-ზნეობრივი ნორმების „გათანამედროვეობის“ ხარჯზე მოიმატა ქორწინების გარეშე შვილიერობამ. დღეს მარტოხელა დედის სტატუსი აღარ ასოცირდება იმ, ასე ვთქვათ, „სამარცხვინო საქციელთან“, რომელიც დედასაც და შვილსაც შეურაცხყოფდა და თავშეკავებისკენ უბიძგებდა. აღარავინ შფოთავს, ქალი გააჩენს შვილს სხვისი მეუღლისგან, სასურველი მამაკაცისგან თუ, სულაც, მეცნიერების უკანასკნელი მიღწევის – სუროგაციის გზით. მარტოხელა ქალის გვერდით გაზრდილ ვაჟებს თუ გოგონებს კი, ერთმნიშვნელოვნად ეტყობათ უმამობის გამო დაღდასმული კომპლექსები. თითქმის ამ კატეგორიას მიეკუთვნებიან, აგრეთვე, დანგრეული ოჯახების შვილებიც. ასეთი ოჯახები კი დღითიდღე მრავლდებიან. არის სხვა გარემოებებიც; უმუშევრობამ და ეკონომიურმა გაჭირვებამ ოჯახში ქალსა და მამაკაცს შორის ბზარი გააჩინა. როცა ელემენტარული არსებობისთვის მოთხოვნილება სჭარბობს შემოსავალს, ძნელია, თავის შეკავება ორივეს მხრიდან და ჩნდება უთანხმოებები, ურთიერთბრალდებები, მოვალეობის ურთიერთგადამისამართება, რაც კონფლიქტის, შეურაცხყოფის და ძალადობის მიზეზად იქცევა. მართალია, ევროპული კურსი გვაქვს და მათი იდეალებისაკენ მივილტვით, მაგრამ ფაქტი ჯიუტია, რომ უკვე ტრადიციაში ჩამჯდარი ჩვენი აზიატური აზროვნება, თითქოს ოჯახის უფროსი მამაკაცია, ვერ ამოვაგეთ ჩვენი ცხოვრებიდან. მამაკაცები კვლავაც ცდილობენ, დაამტკიცონ მათი უპირატესობა თუნდაც ძალისმიერი მეთოდებით. ბევრი მათგანი ღმერთსაც კი იშველიებს და არგუმენტად ის მოჰყავს, რომ უფალმა ჯერ მამაკაცი შექმნა და შემდგომ მისი ნეკნიდან გამოძერწა ქალი, ანუ ქალი მამაკაცთან „ვალშია“, რადგან მისი ნაწილია და მის მოთხოვნებს უსიტყვოდ უნდა ემორჩილებოდესო.

ქალის და მამაკაცის ურთიერთობაში დიდ უარყოფით გავლენას ახდენს გახშირებული ლოთობა, ნარკომანია. ალკჰოლური თუ ნარკოტიკული თრობის ქვეშ მყოფი ადამიანები თავს ვეღარ აკონტროლებენ, კარგავენ პასუხისმგებლობას საკუთარ ქცევაზე, ჩადიან გაუცნობიერებელ დანაშაულს მეუღლის, დედის, შვილის, ოჯახის სხვა წევრების თუ საზოგადოების მიმართ.

ბევრმა ადამიანმა ჩვენს ირგვლივ არასწორად გაიგო სიტყვა „თავისუფლება“ და ის დასახა

პიროვნების ზნეობრივ-მორალური პასუხისმგებლობისაგან „თავის დაღწევის გზად“. იმატა მამათმავლობის, ლესბოსელობის, ტრანსგენდერიზმის პროპაგანდამ, გნებავთ უფრო რბილად რომ ვთქვათ, შემწყნარებლობამ, რამაც ხელი შეუწყო მანკიერი ცხოვრების წესს. ადამიანი თავისუფალია და აკეთებს იმას, რაც მოესურვებაო, თუნდაც საზოგადოების უმრავლესობის აზრი ამა თუ იმ საქციელზე უარყოფითი იყოს, ის მაინც იგნორირებულია. ამიტომ იმატა ასეთი ადამიანების რიცხვმა. ისინი გამოდიან მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით და ღიად საუბრობენ თავიანთი ცხოვრების წესზე. სულ რამდენიმე დღის წინ ერთ-ერთი „პოპულარული“ გადაცემის წამყვანი აღტაცებული უსმენდა ერთ გოგონას, რომელიც (ბოდიშს ვიხდი, მე მისი ნამდვილი გვარი არ ვიცი, იქნებ არც მაინტერესებს!) ამბობდა, რომ, მიუხედავად იმისა, რომ დადიოდა ეკლესიაში, ოჯახის წევრი ჰყავდა სასულიერო პირი, დღეს ცხოვრობდა ჩვეულებრივ, მაგრამ ხვალ შეიძლება გავიღვიძო და გოგოსთან ერთად ვიწვეო და ამას არანაირ უხერხულობად არ თვლიდა, წამყვანიც აქებდა-რა მაგარი გოგო ხარო. აქებდა მის გაბედულებას იმ კლიპის გამო, რომელიც მან ლესბოსელებთან მიმართებაში გადაიღო. ის კი თავს იწონებდა, რომ ისეთი „გაგებული“ დედა ჰყავს, რომელიც არაფერს უშლის, უყვარს, პატივს სცემს და ღებულობს მის მეგობრებს ისეთებს, როგორებიც არიან და ეყვარება და იზრუნებს თავის შვილზე, რაც არ უნდა გააკეთოს მან. აქვე კიცხავდა თავისი მეგობრის მამას და ძმას, რომლებმაც მის მეგობარს ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს პირსინგის და ტატუს გამო. მეგობარმა კი უჩივლა და მათ მასთან მიახლოვება აეკრძალათ. აქვე ერთ „სიბრძნესაც“ განგვიმარტავდა, რომ უფალი ამბობს გიყვარდეს მოყვასი შენიო, ის არ ამბობს, გიყვარდეს კაცი ან ქალიო, ამიტომ მე მინდა კაცს შევიყვარებ, მინდა - ქალსო, იმას კი აღარ ხსნის, რატომ შექმნა ღმერთმა მამაკაცი და ქალი, ერთი წყვილი და არა რამდენიმე კაცი და ქალი, რომლებსაც არჩევის საშუალება ექნებოდათ! ნაკლებად ფიქრობენ იმაზე, რომ მხოლოდ კაცის და ქალის ურთიერთობით ხდება გამრავლება, რაც ასე სასიცოცხლოდ სჭირება ჩვენს ერს, რომ დემოგრაფიული მონაცემები კატასტროფულია!

სხვაც ბევრი რამ მაქვს სათქმელი, მაგრამ არ მინდა, ყველაფერი უარყოფითად წარმოვაჩინო, დადებითი და სასიამოვნოც ბევრია ამქვეყნად, მაგრამ მაინც გორდიას გორგალივით ალინთულია ჩვენი ცხოვრება და ისმის რიტორიკული კითხვა: – რა დაალაგებს მას, საით მივდივართ, გვეშველება კი რამე!? მეც ეს მაწუხებს, ჩემო მკითხველო, რადგან პასუხი არ მაქვს, - რა გითხრათ, რით გაგახაროთ!?

ნაირა გორაშვილი

P.S. ნუ გამკიცხავთ, თუ გავკადნიერდი და დიდ ილიას დავესესხე ეს ფრაზა.

ბრძოლა სამართლიანობის აღსადგენად და არა თანამდებობისთვის?!

ფიროსმანის სახელმწიფო მუზეუმის ყოფილი მმართველი ანზორ მაძღარაშვილი, რომელიც თანამდებობაზე აღდგენას სამართლებრივი გზით ითხოვს, სასამართლომ ორჯერ გაამართლა. მაძღარაშვილმა კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს წინააღმდეგ სარჩელი თბილისის საქალაქო სასამართლოში გასული წლის სექტემბერში შეიტანა. გაზეთ „შირაქის“ ინფორმაციით, იმის გამო, რომ მუზეუმი დედოფლისწყაროში მდებარეობს და თბილისში მოქმედი მუზეუმი სწორედ მირზაანის ფილიალად ითვლება, თბილისის საქალაქო სასამართლომ საქმე განსახილველად სიღნაღის სასამართლოს გადაუგზავნა. ფიროსმანის მკვლევარი მუზეუმის მმართველის თანამდებობაზე აღდგენას და გაცდენილი ხელფასის სრულად ანაზღაურებას ითხოვს.

მხარეების ჩართულობით დავა სიღნაღის რაიონული სასამართლოს მოსამართლე პაატა ნოზაძემ განიხილა. მოსამართლემ ანზორ მაძღარაშვილის მოთხოვნა დააკმაყოფილა და მემკვიდრეობის სააგენტოს მმართველის თანამდებობაზე აღდგენა დაავალა.

სააგენტო სასამართლოს გადაწყვეტილებას არ დაეთანხმა, ის ზემდგომ ინსტანციაში გაასაჩივრა და 2016 წლის ნოემბერში განცხადებით სააპელაციო სასამართლოს მიმართა. სააპელაციო სასამართლომ წარმოებაში მიიღო და ხელახლა განიხილა საქმე, თუმცა გასული წლის 25 ნოემბრის გადაწყვეტილებით ძალაში დატოვა სიღნაღის სასამართლოს გადაწყვეტილება. მიუხედავად ამისა, ანზორ მაძღარაშვილი არც ამის შემდეგ აღუდგენიათ, რადგან სააგენტო გადაწყვეტილებას კიდევ ერთხელ, ამჯერად უკვე უზენაეს სასამართლოში ასაჩივრებს.

გადაწყვეტილების გამოტანის შემდეგ გაზეთი „შირაქი“ ფიროსმანის მკვლევარსა და მუზეუმის დიდ მოამაგეს თბილისში შეხვდა და პროცესის მსვლელობის შესახებ ესაუბრა. მაძღარაშვილი ამბობს, რომ სასამართლო დავის დაწყების მიზეზი საქმიანი რეპუტაციის აღდგენის მცდელობაა.

„თბილისში შევიტანე სარჩელი, მაგრამ აღმოჩდა, რომ სიღნაღში სიარული მოგვიხდა. დედოფლისწყაროს სასამართლოს გაუქმების შემდეგ ჩვენი საქმეებიც იქ განიხილება. სიღნაღის რაიონული სასამართლოს მოსამართლე პაატა ნოზაძე იმდენად კეთილშობილი პიროვნება ჩანდა, რომ თავიდანვე მომეცა იმედი, სამართლიანად იმოქმედებდა. თავიდანვე ძალიან დადებითად განვეწყვე მის მიმართ და ჩემთვის ვფიქრობდი, საწინააღმდეგო გადაწყვეტილებაც რომ გამოეტანა, ნაწყენი არ დავრჩებოდი. საოცრად კარგი აურა ჰქონდა და კმაყოფილი ვიყავი. მან განხილვის დროს რამდენიმე სხდომაზე ხაზგასმით აღნიშნა ჩემი დამსახურება ფიროსმანის კვლევის, თუ ზოგადად მუზეუმის განვითარების საქმეში. პირდაპირ ასე განაცხადა: „მუზეუმში ამ კაცს გაუკეთებია ყველაფერი, რას ერჩითო“. მიხარია, რომ ჩემი ღვაწლი ვიღაცამ დაინახა. 1968 წლის აგვისტოში მე რომ მივედი მუზეუმში, ერთ ოთახში იყო განთავსებული. მხოლოდ 600 მეტრი მიწის ნაკვეთი ეკუთვნოდა და 80-მდე შავთეთრი ფოტოსურათი დამხვდა. იმ დროისთვის მირზაანის მუზეუმს მხოლოდ სამი ორიგინალი გააჩნდა. ახლა კი დედოფლისწყაროში 14 ორიგინალია დაცული. გარდა ამისა, ადგილზე 12 200 ექსპონატი ინახება. ეს ყველაფერი კი წლების მანძილზე შევაკოწიწეთ, მოვიკვლიეთ და დღემდე მოვიტანეთ,“ - განუცხადა „შირაქს“ ანზორ მაძღარაშვილმა.

ორივე ინსტანციის სასამართლოში ფიროსმანის მკვლევარის ინტერესებს ადვოკატი ალექსი ყურაშვილი იცავდა. ადვოკატი ამბობს, რომ სააგენტო გათავისუფლების მიზეზებს დამაჯერებლად ვერ განმარტავს, ამიტომ სიმართლე ანზორ მაძღარაშვილის მხარეს იყო.

„დიდი ხანია, ვიცნობ მოსამართლე პაატა ნოზაძეს და მის საქმიანობას. ცნობილია, რომ ის სააკაშვილის მმართველობის პერიოდში გაათავისუფლეს, რადგანაც პრინციპული და სამართლიანობისთვის მებრძოლი ადამიანის იმიჯი აქვს. ამჯერადაც მოსამართლემ საკმაო პრინციპულობა გამოიჩინა და ობიექტური გადაწყვეტილება გამოიტანა. რა თქმა უნდა, ველოდით ამ შედეგს და კმაყოფილი ვართ,“ - აცხადებს ადვოკატი.

ქიზიყელი პოეტი თემურ ჩალაბაშვილი ანზორ მაძღარაშვილის საქმის განხილვას ორივე ინსტანციის სასამართლოში მუდმივად ესწრებოდა: „სასამართლოს ორივე გადაწყვეტილებით კმაყოფილი ვარ, ეს ასეც უნდა ყოფილიყო, სხვაგვარი გადაწყვეტილება ყველასთვის წარმოუდგენელია. ანზორ მაძღარაშვილი მართალი კაცია და არ უნდა ისჯებოდეს. წლები შეალია ფიროსმანის კვლევას, იღვაწა და ასე დაასრულოს კარიერა, წარმოუდგენელია. მოსამართლეები იშვიათად არიან სიმართლის გვერდით, მაგრამ ამჯერად ორივე შემთხვევაში სამართლიანად მოიქცნენ და ღმერთმა გაუმარჯოთ. ის ჭრილობა, რაც ბატონ ანზორს გათავისუფლებით მიაყენეს, სასამართლოს მიერ გამთელდა და ეს მისასალმებელია,“ - აღნიშნავს ჩალაბაშვილი.

თავდაპირველად ფიროსმანის მუზეუმში არსებული სხვა ვაკანსიების მსგავსად ახალი მმართველის შერჩევაც კონკურსის გზით იგეგმებოდა, თუმცა რამდენჯერმე გამოცხადების შემდეგაც მმართველის შერჩევა ვერ მოხერხდა. კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს მუზეუმების და მუზეუმ-ნაკრძალების სამსახურის უფროსი ირმა დოლიძე რამდენიმე თვის წინ გაზეთ „შირაქთან“ საუბრისას ამბობდა, რომ კახა ჯანიაშვილი ფიროსმანის მუზეუმის მმართველად სააგენტოს დირექტორის ნიკოლოზ ანთიძის ბრძანების საფუძველზე, კონკურსის გარეშე დაინიშნა. მისი თქმით, ჯანიაშვილს მუზეუმის განვითარების და დამთვალიერებლის მოზიდვის ახლებური ხედვა და გეგმები აქვს.

თავად ანზორ მაძღარაშვილი არ გამორიცხავს, რომ სამსახურში აღდგენისთანავე პოსტი თავისივე სურვილით ისევ დატოვოს. ამბობს, რომ სამართლიანობის აღდგენის მიზნით იბრძვის და სხვა ინტერესი არ აქვს.

„ასაკის გათვალისწინებით და ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო თანამდებობის დატოვებას ჩემივე სურვილით ისედაც ვგეგმავდი, უბრალოდ ჩემთვის მიუღებელი იყო ისეთი მიდგომა, რომ უსარგებლო ნივთივით გვერდით გამწიონ. ცას და დედამიწას ხომ არ გამოვეკერები, ამხელა ასაკი მაქვს, მაგრამ გულსატკენია, როცა ასე გაგიშვებენ, მითუმეტეს, რომ რამდენიმე თვით ადრე მუზეუმში ჩამოსულმა ირაკლი ღარიბაშვილმა გმირი მიწოდა იმის გამო, რომ ფიროსმანის ორიგინალები სააკაშვილს არ დავუთმე. ასევე საგულისხმოა ისიც, რომ მიხეილ სააკაშვილის მმართველობის ბოლო წლებში გამათავისუფლეს სამსახურიდან და მუზეუმში აღდგენა სწორედ ხელისუფლების ცვლილების შემდეგ მოვახერხე. ამიტომ, ამ ყველაფრის გათვალისწინებით ასეთ ფინალს არ ველოდი. ორი ინსტანციის სასამართლოს მხარდაჭერის შემდეგ დარწმუნებული ვარ, რომ სააგენტოს სხვა გზა არ ექნება და თანამდებობაზე აღმადგენს. ვნახოთ, როგორ იმოქმედებენ. შესაძლებელია, მალევე წამოვიდე, მაგრამ, თუ გაჯიუტდებიან და ბრძოლას დამიწყებენ, უკვე პრინციპის ამბავია და დავრჩები,“ - აღნიშნავს მაძღარაშვილი.

როგორც ზემოთ გითხარით, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო ამ გადაწყვეტილებასაც კიდევ ერთხელ ასაჩივრებს. ამ ეტაპზე უცნობია, დასაშვებად სცნობს თუ არა უზენაესი სასამართლო საagენტოს განცხადებას, ან როდის გამოაცხადებს გადაწყვეტილებას.

ილია მარტყოფლიშვილი

ხსოვნა

ლევან დავითაშვილი

20 თებერვალს შენი დაბადების დღეა, ლევან. ერთ დროს ყველაზე ბედნიერი დღე ახლა სევდითა და მწუხარებითაა სავსე. წელს ამ დღეს პირველად აღვნიშნავთ უშენოდ.

ჯერ მხოლოდ 35 წლის გახდებოდი, ტრაგიკულმა შემთხვევამ იმსხვერპლა შენი სიცოცხლე. სრულიად ახალგაზრდამ დატოვე ამქვეყნიური ცხოვრება და დაგრჩა უამრავი აუხდენელი ოცნება...

ჩვენ კი მხოლოდ მოგონებები დაგვიტოვე. დღე არ გავა, არ გავიხსენოთ შენი სიკეთით აღსავსე გამოხედვა, გადამდები სიცილი... რა მწარეა შენზე წარსულში ლაპარაკი, დაუჯერებელია შენი არყოფნა, მაგრამ, საუბედუროდ, მწარე რეალობას ვერაფერს ვუხერხებთ... გვენატრები, ტკივილამდე გვენატრები ყველას... მშრომელი, კეთილი, გულღია და ყველას მოსიყვარულე ადამიანი - ეს ის ეპითეტებია, რომლითაც შენ ყველა გახასიათებს, ასეთი დარჩები იმ ადამიანების მეხსიერებაში, ვინც შენ გიცნობდა.

ასეთი დადებითი თვისებებით შემკულს, ეჭვი არ გვეპარება, უფალი სასუფეველს დაუმკვიდრებს შენს სულს.

დაბადების დღეს გილოცავთ, ლევან, იმქვეყნიურ სამყოფელში.

დედა - ციცინო მეხრიშვილი, **მამა** - გამზალო, **ძმები:** შალვა და ბესო დავითაშვილები, **რძალი** - ნინო ნატროშვილი, **ძმისშვილი** - ლევან დავითაშვილი.

ბაკურ ბაცაცაშვილი



ჩვენო გაუსაძლისო ტკივილო, ჩვენო მონატრებულო ბაკურ, 20 თებერვალს 50 წელი შეგისრულდებოდა. სამი წელია უშენოდ ვხვდებით ამ დღეს.

შენი დაბადების დღე შენს გარეშე გაუსაძლისი ტკივილია, ძალიან გვაკლიხარ, შვილო, ძალიან მოკლე აღმოჩნდა შენი ცხოვრება.

გვენატრები, ძალიან გვენატრები ჩვენო მოუშუშებელო ტკივილო. დედა გენაცვალოს, შვილო, შენი სულისთვის სანთელს ვანთებთ და ვლოცულობთ. შენს ძმას და მამასაც ძალიან ენატრები. გვტკივა უშენობა, მაგრამ ამ სიცარიელეს ვერაფერი შეგვივსებს.

20 თებერვალს მოვალთ შენს საფლავზე და იქ მოგილოცავთ დაბადების დღეს. ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი სული.

შენი ოჯახი

მარინე ცხვედიაშვილი და ჯემალ კუხალაშვილი, ნანა ჭიჭინაძე და მარიკა პოპიაშვილი თანაგრძნობას უცხადებენ ელგუჯა სუარიშვილს, მეწყინა ქავთარაძეს, ნონა, ნათელა და ნოშრევან მამუკელაშვილებს დედის, დის, დედამთილის და მძახლის

თამარ ქავთარაძე-სუარიშვილის

გარდაცვალების გამო.

„სიყვარული აღგვამაღლებს!“

„სიყვარული აღგვამაღლებს!“ — წერდა შოთა რუსთაველი და რთულია მას ამაში არ დაეთანხმო.

მაინც რა არის სიყვარული? — ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ სიყვარული ფსიქიკურ დაავადებად გამოაცხადა.

„შირაქი“ გთავაზობთ ქართველი და უცხოელი მწერლების გამონათქვამებს ამ დიდებულ გრძნობასთან დაკავშირებით

ნოდარ დუმბაძე: „სიყვარული თავად არს ღმერთი და თუ სიყვარული შენთან არს, შენთან არს ღმერთი.“

კონსტანტინე გამსახურდია: „სიყვარულია თავად ღმერთი ამ ქვეყანაზე.“

ჯემალ ქარჩხაძე: „საერთოდ არაა ცნობილი, თუ სად, როდის და რატომ იბადება სიყვარული, რადგან კაცობრიობის ისტორიაში ჯერ არ გამოჩენილა ის ადამიანი, ვინც წარმატებულად დაშლის სიყვარულს შემადგენელ ნაწილებად და მის მექანიზმში გაერკვევა.“

ოტია იოსელიანი: „სიყვარული დიდი ტვირთია, სუსტი, უძლური და უნიათო ვერ ასწევს, ვერ ატარებს.“

გურამ დოჩანაშვილი: „დედამიწას სიყვარული ატრიალებს.“

ოთარ ჭილაძე: „ჭეშმარიტი სიყვარული ტანჯვაა, განუწყვეტელი მსხვერპლშეწირვაა და ეს განუწყვეტელი მსხვერპლშეწირვა და ტანჯვა არაფრით არ ნაზღაურდება. უფრო სწორად, ყველაზე დიდი საზღაური ის არის, ამგვარი ტანჯვის განცდისა და ამგვარი მსხვერპლის გაღების უფლება რომ მოგეცა.“

ალექსანდრე ჭავჭავაძე: „სიყვარულო, ძალსა შენსა ვინ არს რომე არ ჰმონებდეს?.. ვინ არს რომე გულსა ტახტად, ოხრვას ხარკად არა გცემდეს?“

გოდერძი ჩოხელი: „სიყვარულთან ერთად, თუ სიყვარულის გარდა ამ ქვეყანაზე არსებობს ბედისწერა, რომელიც ყველაფერს თუ არა, თითქმის ყველაფერს განაგებს ადამიანის ამქვეყნურ შარაგზაზე, ზოგისთვის რომ მართლა შარაგზა არის და ზოგისთვის კი, მიხვეულ-მოხვეული, ეკლიანი ბილიკი. სიყვარული კი ისეთი ღვთიური გრძნობაა, გინდა შარაგზაზე იდგე და გინდა მიხვეულ-მოხვეულ, ეკლიან ბილიკზე, ამ გრძნობას უიღბლოს ვერ უწოდებ, იმიტომ რომ ის სიყვარულია!!!“

ანტუან დე სენტ-ეგზიუპერი: „ნამდვილი სიყვარული მაშინ იწყება, როცა გიყვარს და საპასუხოდ არაფერს ელი.“

მიხეილ ბულგაკოვი: „ვინ თქვა რომ დედამიწაზე არ არსებობს მარადიული და ერთგული სიყვარული? მატყუარას მოეჭრას მისი სამარცხვინო ენა!“

ოსკარ უაილდი: „სიყვარული ხელოვნებაზე გაცილებით დიადი, ძლიერი და მაღლა მდგომია.“

გი დე მოპასანი: „სიყვარული ძლიერია, როგორც სიკვდილი, მაგრამ მსხვრევადია, როგორც მინა.“

სტენდალი: „სიყვარულს შეიძლება ეწოდოს სამგზის ქურდი: არ ეძინება, გამბედავია

და ადამიანს აშიშვლებს.“

ჯეკ ლონდონი: „ყველაფერი მოირყევა ამქვეყანაზე, სიყვარული კი არა, სიყვარულს გზას ვერ აუბნებ, თუკი ჭეშმარიტი სიყვარულია და არა უდღეური, რომელიც ყოველ ფეხის ნაბიჯზე ბორძიკობს და სულს ღაფავს ხოლმე.“

ერიხ მარია რემარკი: „სიყვარული სნეულებასავით არის. ნელა და შეუმჩნევლად ადნობს ადამიანს, ხოლო როცა შეამჩნევ და მისგან თავის დაღწევას მოინდომებ, ძალა გღალატობს.“

აკუტაგავა რიუნოსკე: „სიყვარულიო? ეგ საკენკი პირტიტველა ლიტერატორებს დაუყარე. მე მხოლოდ წავიბორძიკე სიყვარულზე.“

ფრიდრიხ ნიცშე: „რა არის სიყვარული, თუ არა გაგება და ბედნიერება იმისა, რომ მეორე ადამიანი ცხოვრობს, მოქმედებს და განიცდის ჩვენგან განსხვავებულად.“

გაბრიელ გარსია მარკესი: „ზოგიერთები გამოიკეტებიან მარტოობაში, სიყვარულში და ამ სიყვარულის მარტოობაში, ხოლო მათი სიყვარული ამ სიყვარულშივეა ჩაძირული და ჩაფერფლილი და ცხოვრობენ ერთ დიდ, უკაცრიელ სამყაროში, სადაც სიყვარულია ერთადერთი და მარადიული რეალობა და ერთ არსებად ქცეულნი ნელ-ნელა იძირებიან მარტოობაში.“

ჰარუკი მურაკამი: „ცხოვრება სიყვარულის გარეშე იგივეა, რაც ქარი სარკმლის მიღმა — ვერ იგრძნობ მას და ვერც ჩაისუნთქავ.“

პაულო კოელიო: „სიყვარული დაუმორჩილებელი ძალაა. როდესაც მის კონტროლს ვცდილობთ, გვანადგურებს. როდესაც ვცდილობთ დავატყვევოთ, გვიმონებს.როდესაც ვცდილობთ გავიაზროთ, გვტოვებს გზააბნეულს და იმედგაცრუებულს.“

ვიქტორ ჰიუგო: „სიყვარული ხეს გავს: ის იზრდება თვითონ, ღრმად უშვებს თავის ფესვებს და აგრძელებს გამწვანებას დაცარიელებულ გულშიც.“

ჩარლზ ბუკოვსკი: „არ გააშიშვლოთ ჩემი სიყვარული, იქ შეიძლება მანეკენი აღმოაჩინოთ, არ გააშიშვლოთ მანეკენი, რადგან იქ შესაძლოა სიყვარული იყოს“.

ულოცავენ!

ზურიკო და მარინა ტუხაშვილებს!

გილოცავთ შვილების ილიას და გიორგის დაბადების დღეს. იუბილარებს ვუსურვებთ ჯანმრთელობას, მზეგრძელობას, ულრუბლო ზეცას და ულევ სიხარულს საყვარელ დასთან ანასთან, მშობლებთან და ყველა კეთილისმსურველთან ერთად.

ჩემო კარგებო, იყავით წესიერები და სამაგალითონი მთელი ცხოვრების გზაზე.

მადლობა უფალს, რომ თქვენი არსებობით გვიმსუბუქებთ მწარე ტკივილიან ცხოვრებას მე და პაპას.

ღვთისმშობელი მარიამი იყოს თქვენი შემწე და მფარველი.

პაპა და ბებო - გივი და ეთერ ტუხაშვილები,
ბებო - ლარისა პეჩნიკოვა.

ლალი ფიროსმანაშვილს!

ნოდარ სულაშვილს!

გამარჯვების პროფ. ა. პოპიაშვილის სახელობის საჯარო სკოლის დირექცია და პედაგოგიური კოლექტივი ულოცავს შვილების ვერიკოს და ბადრის ბედნიერებას და უსურვებს ჯანმრთელობას, აკვანთა სიმრავლეს და მტკიცე ქართული ოჯახის შექმნას.

მარინა და შიო ტეტელოშვილებს!

გულწრფელად ვუერთდებით მეექვსე შვილშვილის – ანის დაბადებით გამოწვეულ თქვენს დიდ სიხარულს. ჯანმრთელი, გონიერი და ღონიერი გაზრდილიყოს. თქვენ კი დიდხანს იცოცხლეთ და გაიხარეთ თქვენი შთამომავლობის ბედნიერებით. უფალი გფარავდეთ და გეწეოდეთ.

დედოფლისწყაროს მხარეთმცოდნეობის
მუზეუმის თანამშრომლები.

სამკურნალო მცენარეები

ანწლი

ყვავილოვან მცენარეთა გვარი ცხრატყავისებრთა ოჯახისა. ბუჩქები ან მცირე ზომის ხეებია, იშვიათად კი მრავალნლოვანი ბალახები. ანწლის ფოთლები ფრთისებრია, მოპირისპირედ განლაგებული, ყვავილები ხუთნევრიანი, აქტინომორფული, ფარის ან ქოლგის მსგავსად შეკრებილი. ნაყოფი წვნიანი, შავი ან წითელი კენკრაა. გავრცელებულია ორივე ნახევარსფეროს ზომიერ და სუბტროპიკულ

ზონებში (გარდა ცენტრალურ და სამხრეთ აფრიკისა). ცნობილია 40 სახეობა. მათ შორის საქართველოში ორი - დიდგულა (შამბუცუს ნიგრა) და საკუთრივ ანწლი (შამბუცუს ებულუს), რომელიც მყარალი ბალახოვანი მცენარეა. აქვს სწორი 0,5-1,5 მ სიმაღლის დაღარული ღერო, საგველასებრ ყვავილედებად შეკრებილი ყვავილები, მრგვალი შავი ნაყოფი. იზრდება ტყის სარტყელში - ფოთლოვან ტყეებში. ტყის პირებზე და სხვა ადგილებში, ზოგჯერ ქმნის რაყას. ყვავილი შეიცავს ეთეროვან ზეთს; ნაყენს მედიცინაში იყენებენ.

სამკურნალოდ გამოიყენება: ფესვი, ნაყოფი, ყვავილი, ფოთოლი, ყლორტი. ფესვი შეიცავს: მწარე და მთრიმლავ ნივთიერებებს, საპონს; ნაყოფი-ეთერზეთებს, მთრიმლავ ნივთიერებებს, ორგანულ მჟავეებს, პექტინს, შემფერ ნივთიერებას, ამიგდალინს, ვიტამინ ჩ-ს; ყვავილი -სახაროზას, ეთერზეთებს, გლიკოზიდს. ანწლს გააჩნია ბიოლოგიური აქტივობა. არის შარდმდენი, ოფლმდენი, დიაბეტსაწინააღმდეგო, ანტისეპტიკური და ამოსახველებელი საშუალება. ხალხურ მედიცინაში მისგან დამზადებულ ჯემს იყენებენ ტუბერკულოზისა და ბუასილის სამკურნალოდ. ფესვების ნახარშს - თირკმელების დაავადებისას; ყვავილების ნახარშს - გაძნელებული შარდვისას; ფოთლების ნახარშს - ნაწლავების კოლიტისას. ასევე გამოიყენება სასუნთქი გზების კატარის, ნევრალგიის, რევმატიზმის, ჭინჭრის დაავადების, ნიკრისის ქარის სამკურნალოდ.

ი ყ ი დ ე ბ ა !

ვყიდი ოროთახიან, სუფთა ბინას რუსთაველის ქუჩაზე, ვარდისფერ კორპუსში, მეხუთე სართულზე. ფასი-10000$.

☎ 599-37-41-81

ქ. დედოფლისწყაროში, ხუთსართულიან კორპუსში, ჰერეთის ქუჩაზე (საჯარო რეესტრის მაღლა), მეორე სართულზე იყიდება სამოთახიანი, ოთხ ოთახიანად გადაკეთებული, თბილი, ნათელი, კუთხის ბინა გადიდებული ლოჯიით, ორი აივნით, რამდენიმე წლის წინ ჩატარებული მაღალი დონის რემონტით, რკინის კარით, მუხის პარკეტით, ბუხრით, გამოცვლილი კარ-ფანჯრით, ფანჯრებზე ჟალუზებით, აივნებზე გისოსებით და სამეურნეო სათავსოებით, აბაზანა და ტუალეტი ცალ-ცალკე აღჭურვილი კაფელ-მეტლახით, შესასვლელში დამონტაჟებული კარადებით, კიბის ქვეშ სამეურნეო სათავსოთი, გაზით, ცხელი წყლით და ელექტროენერგიით უზრუნველყოფილი. ფასი:18000

☎ 591-09-24-78.

ამინდი

დედოფლისწყარო

	ორშაბათი 20.02	სამშაბათი 21.02	ოთხშაბათი 22.02	ხუთშაბათი 23.02	პარასკევი 24.02	შაბათი 25.02	კვირა 26.02
დღე	4°	4°	5°	5°	6°	8°	8°
ღამე	0°	2°	1°	4°	4°	6°	7°

გამომცემელი შპს „შირაქი“
დირექტორი ინგა შიოლაშვილი

რედაქტორი **ნარა გორაშვილი-პოპიაშვილი**

წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს აგებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ლალი მეხრიშვილი, ილია მარტყოფლიშვილი (ჟურნალისტები) ; ელზა ხარაშვილი (სტილისტ-მენეჯერი); ნათელა ჯოსტაშვილი (ბუღალტერი) ; ნიაზი ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი) ; მზია ქენქაძე (დისტრიბუტორი); ზურაბ ბუწაშვილი (კომპიუტერული უზრუნველყოფა).

გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე.
ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ.პ.ს „სამშობლოს“ სტამბაში.

რედაქციის მისამართი: ქალაქი დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18,
ტელ. 0 356 22 55-49;
598 72-18-72 (დირექტორი)
591-97-73-26 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია
დედოფლისწყაროს რაიონის
სასამართლოს მიერ,
№6014-468.